

## საჰაერო თავდაცვის აქტუალობა და ორგანიზების საფუძვლები

ამირან სალუქვაძე<sup>1</sup>

DOI: <https://doi.org/10.61446/mp.3.2024.8494>

### აბსტრაქტი

ლოკალური ომების და შეიარაღებული კონფლიქტების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ შეიარაღების და ტექნიკის, ასევე ტექნოლოგიების განვითარებას, მოჰყვება თანამედროვე სამხედრო მოქმედებების ხასიათის ცვლილებები.

ათწლეულების განმავლობაში, საჰაერო თავდასხმის საშუალებების განვითარებასთან ერთად, ვითარდებოდა საჰაერო თავდაცვის საშუალებები. საჰაერო თავდასხმის საშუალებების გამოყენების ტაქტიკის, ფორმების და ხერხების დახვეწის პარალელურად, იხვეწებოდა და ვითარდებოდა საჰაერო თავდაცვის საშუალებების გამოყენების ტაქტიკა, ფორმები და ხერხები. ბოლო ომები და კონფლიქტებიც, ეს იქნება ახლო აღმოსავლეთი, მთიანი ყარაბაღი თუ უკრაინა-რუსეთის დაპირისპირება, ამ მხრივ გამორჩეულია.

ომის ხასიათი დიდი რაოდენობით სხვადასხვა ტიპის და დანიშნულების უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენებამ მთლიანად შეცვალა. განსაკუთრებით დიდი მასშტაბები მიიღო უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენებამ უკრაინა-რუსეთის ომში. ამ ომმა გვიჩვენა, რომ ე.წ. დრონებს, რომელთა ღირებულება საკმაოდ დაბალია, შეუძლია საკმაოდ დიდი ფინანსური, ეკონომიკური და სამხედრო ზარალი მიაყენოს მოწინააღმდეგე მხარეს.

უპილოტო საფრენი აპარატების მასობრივ გამოყენებას საჰაერო თავდასხმის სხვა ტიპის საშუალებების, თვითმფრინავების, შვეულმფრენების და სხვადასხვა ბაზირების თუ დანიშნულების რაკეტების ან ბომბების გამოყენების აქტუალობა არ შეუმცირებია.

უკრაინა-რუსეთის ომის მიმდინარეობისას, თვალს ვადევნებთ უპილოტო და პილოტირებადი ავიაციის, ასევე სარაკეტო კომპლექსების როგორც ცალ-ცალკე გამოყენებას, ასევე მათი გამოყენებით კომბინირებულ მასირებულ გამოყენებას.

ორივე ქვეყნის შეიარაღებული ძალები ომის მსვლელობისას ხვეწავს და ავითარებს როგორც საჰაერო თავდასხმის, ისე თავდაცვის საშუალებების ტაქტიკას, იგონებენ ბრძოლის (თავდასხმის, თავდაცვის) ახალ მეთოდებს და ხერხებს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საომარი მოქმედებების მიმდინარეობისას ხდება ახალი სისტემების შექმნა. გაცილებით შემცირებულია დრო სიახლის შექმნიდან, საბრძოლო საბრძოლო გამოყენებამდე. რუსეთის მხრიდან ვრცელდება ინფორმაციები, რომ მწარმოებელი ქარხნების, საკონსტრუქტორო ბიუროების წარმომადგენლები პირდაპირ საბრძოლო მოქმედებების რაიონში, ჯარებთან ერთად არიან და აკვირდებიან ახალი სისტემების გამოცდას, იღებენ შენიშვნებს უშუალო ექსპლოატანტებისგან. მშვიდობიან პერიოდში გაცილებით მეტი ბიუროკრატიაა და მეტი დრო იხარჯება საკონსტრუქტორო ბიუროდან სერიულ წარმოებამდე.

ყოველივე ეს მიგვანიშნებს, რომ აუცილებელია თანამედროვე გამოცდილების სიღრმისეული შესწავლა და სამხედრო მოქმედებებისთვის წინასწარი და საფუძვლიანი მომზადება.

ჯარების ერთადერთი სახეობა (გვარეობა), რომელსაც შესწევს უნარი და ევალება პირველი ჩაებას საბრძოლო მოქმედებებში და მაქსიმალურად შეამციროს საჰაერო თავდასხმის საშუალებების ეფექტიანობა, ესაა ავიაციის და საჰაერო თავდაცვის ძალები.

ამისათვის მნიშვნელოვანია, ომების და კონფლიქტების გამოცდილების შესწავლის, სამხედრო თეორიის განვითარების საფუძველზე, განხორციელდეს საჰაერო თავდაცვის დროული ორგანიზება.

<sup>1</sup> სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს, ეროვნული თავდაცვის აკადემიის, მოწვეული სპეციალისტი, მაგისტრი, თადარიგის ბრიგადის გენერალი

წინამდებარე და შემდგომ სტატიებში განვიხილავთ საჰაერო თავდაცვის თეორიულ საფუძვლებს, თანამედროვე ომების გამოცდილების შესწავლიდან გამომდინარე სიახლეებს, საჰაერო თავდაცვის ორგანიზების ალგორითმს და ღონისძიებებს.

**საკვანძო სიტყვები:** საჰაერო თავდაცვა, შეიარაღება, თავდაცვის ძალები, ავიაცია, უპილოტო საფრენი აპარატები, ტექტიკა, ომების და კონფლიქტების გამოცდილება

## Relevance and basics of organization of air defense

Amiran Salukvadze<sup>1</sup>

DOI: <https://doi.org/10.61446/mp.3.2024.8494>

### Abstract

The experience of local wars and armed conflicts shows that the development of weapons and equipment, as well as technologies, is followed by changes in the characteristics of modern military forces.

Over the decades, along with the development of air attack facilities, air defense facilities have evolved. Along with the refinement of the tactics, forms and ways of using air attack means, the tactics, forms and ways of using air defense means were improved and developed. The recent wars and conflicts, be it the Middle East, Nagorno-Karabakh or Ukraine-Russia conflict, are outstanding in this regard.

The character of the war was completely changed by the use of a large number of unmanned aerial vehicles of various types and purposes. The use of unmanned aerial vehicles in the Ukraine-Russia war was of a particularly large scale. This war showed us that the so-called Drones, the cost of which is quite low, can cause considerable financial, economic and military damage to the opposing side.

The mass use of unmanned aerial vehicles has not reduced the relevance of other types of air attack means, airplanes, helicopters and the use of missiles or bombs from various bases or destinations.

In the course of the Ukraine-Russia war, we are watching the use of unmanned and manned aviation, as well as missile complexes, both individually and in combination.

In the course of the war, the armed forces of both countries refine and develop both air attack and defense tactics, inventing new methods and methods of combat (attack, defense).

It is important to note that new systems are being created during hostilities. The time from the creation of the novelty to the combat has been greatly reduced. Information is spreading from the Russian side that the representatives of the manufacturing plants and the construction bureaus are directly in the area of combat operations with the troops and are observing the testing of new systems, receiving notes from the direct explorations. In peacetime, there is much more bureaucracy and more time spent from the design bureau to mass production.

All this indicates that it is necessary to study the modern experience in depth and to prepare in advance and thoroughly for military operations.

The only type (family) of troops, which has the ability and duty to engage in combat operations first and to reduce the effectiveness of air attack means as much as possible, is the aviation and air defense forces.

For this purpose, it is important to organize air defense in a timely manner, based on the study of experience of wars and conflicts, development of military theory.

In the present and subsequent articles, we will discuss the theoretical foundations of air defense, novelties from the study of the experience of modern wars, the air defense organization algorithm and measures.

**Keywords:** air defense, weapons, defense forces, aviation, unmanned aerial vehicles, tactics, experience of wars and conflicts

---

<sup>1</sup> Invited specialist of LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia, Master, Reserve Brigadier General

## შესავალი

თანამედროვე ომები და კონფლიქტები საკაერო თავდასხმის საშუალებების ფართო სპექტრის გამოყენებით გამოირჩევა. მათ გააჩნიათ მაღალი მობილურობა და უნარი, ჯარების სხვა სახეობებისგან დამოუკიდებლად, საგრძნობი ზარალი მიაყენონ სახელმწიფოს სამხედრო-ეკონომიკურ პოტენციალს, მოახდინონ სამხედრო და სახელმწიფო მართვის დეზორგანიზება, შეაფერხონ ან ჩაშალონ ჯარების საომარ მდგომარეობაში გადასვლის ღონისძიებები, შებოჭონ და შეასუსტონ მათი საბრძოლო პოტენციალი.

საკაერო თავდასხმის საშუალებების (საკაერო მოწინააღმდეგის) წინააღმდეგ ბრძოლა ავიაციის და საკაერო თავდაცვის ძალებს ეკისრება. აქედან გამომდინარე, საკაერო თავდაცვას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სახელმწიფოს თავდაცვის სისტემაში.

ბოლო ომების და კონფლიქტების სპეციფიკამ გამოკვეთა საკაერო თავდაცვის ტერიტორიული მოწყობის აქტუალობა, რაც ჯდება ქვეყნის ტოტალური თავდაცვის კონცეფციაში. „ტოტალური თავდაცვის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია ტერიტორიული თავდაცვა. სწორედ ტერიტორიული თავდაცვის სისტემური მომზადება და მისი მზადყოფნა ემსახურება სახელმწიფოს სამხედრო პოტენციალის ამაღლებას და თავდაცვის ძალების მნიშვნელოვნად გაზრდას, რომელსაც ქვეყნის უსაფრთხოებაში განსაკუთრებული როლი ენიჭება.“<sup>2</sup>

საკაერო მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში წარმატების მისაღწევად მეთაურებსა და შტაბებს მოეთხოვებათ საკაერო მოწინააღმდეგის საკაერო მოწინააღმდეგისა და საკაერო ძალების და საშუალებების საბრძოლო გამოყენების საფუძვლების ღრმა ცოდნა. ქვემოთ განვიხილავთ საკაერო თავდაცვის დაგეგმვის, ორგანიზების და წარმოების საფუძვლებს.

## ძირითადი ნაწილი

### საკაერო თავდაცვის საფუძვლები

„საკაერო სივრცის კონტროლი, როგორც წესი, წარმოადგენს გაერთიანებული ძალების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როცა მოწინააღმდეგეს შესწევს უნარი დაემუქროს მეგობარ ძალებს ჰაერიდან, ან წინააღმდეგობა შეუქმნას გაერთიანებული ძალების სარდალს განახორციელოს ოპერაციები“.<sup>3</sup>

საკაერო თავდაცვა (ჰაერსაწინააღმდეგე თავდაცვა) არის თავდაცვის სახეობა (ნაირსახეობა) და ერთიანი ჩანაფიქრით და გეგმით გაერთიანებულ საკაერო თავდაცვის ძალების და საშუალებების საბრძოლო მოქმედებებს წარმოადგენს.

<sup>2</sup> ტოტალური ყოვლისმომცველი) თავდაცვა, როგორც საქართველოს თავდაცვის და უსაფრთხოების განმსაზღვრელი ფაქტორი, გვ.85

<sup>3</sup> [https://www.doctrine.af.mil/Portals/61/documents/AFDP\\_3-01/3-01-AFDP-COUNTERAIR.pdf](https://www.doctrine.af.mil/Portals/61/documents/AFDP_3-01/3-01-AFDP-COUNTERAIR.pdf), გვ.5

„საჭაერო თავდაცვა ესაა პირდაპირი (აქტიური და პასიური) თავდაცვითი მოქმედებები, მიმართული გაერთიანებული ძალებისთვის ჰაერიდან მოწინააღმდეგის საფრთხეების შესამცირებლად ან აღსაკვეთად და ბალისტიკური რაკეტების გასანადგურებლად.“<sup>4</sup>

„საჭაერო თავდაცვა ესაა საჭაერო მოწინააღმდეგის თავდასხმის მოგერიების, ობიექტების (რაიონების) და ჯარების დაჯგუფებების საჭაერო დარტყმებისგან დაცვის მიზნით ორგანიზაციულ ღონისძიებათა და ჯარების საბრძოლო მოქმედებათა კომპლექსი“.<sup>5</sup>

მშვიდობიან პერიოდში, ავიაციის და საჭაერო თავდაცვის ძალებს ეკისრება საჭაერო სივრცეში სახელმწიფო საზღვრების დაცვა და კონტროლი, საომარი მდგომარეობის დროს კი, ჯარების დაჯგუფებების და სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ობიექტების საჭაერო თავდაცვა.

შესაბამისად, შეგვიძლია ჩამოვყალიბოთ საჭაერო თავდაცვის მიზანი:

- ა) მშვიდობიან პერიოდში - საჭაერო სივრცის სუვერენიტეტის დაცვა;
- ბ) საომარი მდგომარეობის დროს - საჭაერო მოწინააღმდეგის მიზნების და ამოცანების ჩაშლა, მისი პოტენციალის შესუსტება და მოქმედებების ეფექტიანობის შემცირება ისეთ ღონემდე, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს მართვის და სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის შენარჩუნებას და საკუთარი ძალების და საშუალებების მიერ დასახული ამოცანების შესრულებას.

ამ მიზნის მისაღწევად იქმნება საჭაერო თავდაცვის სისტემა, რაც ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესია. მისი შექმნა მოთხოვს დიდძალ ფინანსურ და სხვა რესურსებს. ამიტომ მნიშვნელოვანია საჭაერო თავდაცვის ორგანიზების გრძელვადიანი დაგეგმვა.

### საჭაერო თავდაცვის ამოცანებია:

ა) მშვიდობიანობის დროს:

- ყველა ტიპის დაზვერვის მუდმივი წარმოება და საჭაერო სივრცის კონტროლი შესაბამის სამოქალაქო სტრუქტურებთან ერთად;
- საჭაერო სივრცეში არასანქცირებული ფრენების აღკვეთა;
- შეტყობინებათა ქსელში საჭაერო ვითარების შესახებ ინფორმაციის გადაცემა;
- სამხედრო ძალების საჭაერო თავდაცვა მშვიდობიანი პერიოდიდან საომარ პერიოდზე გადასვლის დროს.

ამ ამოცანების შესასრულებლად მუდმივი მზადყოფნის ნაწილებიდან გამოიყოფა საჭირო ძალები და საშუალებები **საბრძოლო მორიგეობის** ორგანიზებისათვის.

<sup>4</sup> [https://irp.fas.org/doddir/army/fm3\\_01.pdf](https://irp.fas.org/doddir/army/fm3_01.pdf) , გვ.15

<sup>5</sup> ფ.კ. ნეუპოკოევი. „ჰაერსაწინააღმდეგო ბრძოლა“, გვ.3

ბ) ომიანობის დროს:

- საჰაერო სივრცის უწყვეტი კონტროლი;
- საჰაერო მოწინააღმდეგის დროული გამოვლენა და შეტყობინება;
- საჰაერო თავდასხმის საშუალებების წინააღმდეგ ბრძოლა;
- ჯარების დაჯგუფებების, ლოგისტიკის ობიექტების და მარშრუტების და სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ობიექტების დაფარვა;
- მოწინააღმდეგის საჰაერო სადაზვერვო საშუალებების წინააღმდეგ ბრძოლა;
- საჰაერო დესანტის განადგურება;
- საკუთარი ავიაციის ფრენების უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

**მოთხოვნები საჰაერო თავდაცვის სისტემის მიმართ**

საჰაერო თავდაცვის სისტემა უნდა იყოს მაქსიმალურად გადაულახავი მოწინააღმდეგის საჰაერო თავდაცვის საშუალებებისთვის, რომლებიც მოქმედებენ ფართო ფრონტზე, სხვადასხვა სიმაღლეებზე, რთულ რადიოელექტრონულ ვითარებაში. ასევე, საჰაერო თავდაცვა უნდა იყოს აქტიური, უწყვეტი, მობილური, მოულოდნელი, ფარული, და მდგრადი.

საჰაერო თავდაცვის **აქტიურობა** ნიშნავს დაზვერვის საჰაერო თავდასხმის საშუალებების წინააღმდეგ ყველა სახის დაზვერვის წარმოებას, მასზე ყველა სახის საცეცხლე და რადიოელექტრონული ბრძოლის საშუალებებით ზემოქმედებას.

საჰაერო თავდაცვის **უწყვეტობა** ნიშნავს შექმნილი სისტემის უნარს, აწარმოოს საბრძოლო მოქმედებები საჰაერო მოწინააღმდეგის მოქმედებების მთელი პერიოდის განმავლობაში, დღე-ღამის ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ამინდში, დასაფარი ჯარების მანევრის დროს, რადიოელექტრონული ზემოქმედების პირობებში.

საჰაერო თავდაცვის **უწყვეტობა მიიღწევა** საბრძოლო მოქმედებების დროული და ყოველმხრივი უზრუნველყოფით, მანევრით, მართვის ეფექტურობით, მათ შორის, საბრძოლო ამოცანის შესაბამისად, ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული მართვის გონივრული გამოყენებით.

საჰაერო თავდაცვის სისტემის **მობილურობა** შეიძლება იყოს ოპერატიული და ტაქტიკური და ნიშნავს ძალების და საშუალებების სწრაფი მანევრის უნარს, სისტემის ეფექტიანობის შემცირების გარეშე. ოპერატიული მანევრი ხორციელდება საჰაერო თავდაცვის დაჯგუფების ფარგლებში, ტაქტიკური - საჰაერო თავდაცვის შენაერთის (ნაწილის) შემადგენლობაში.

საჰაერო თავდაცვის სისტემის **მოულოდნელობა** მიიღწევა საზენიტო საშუალებების მანევრით, ჩასაფრებიდან გამოყენებით, მოწინააღმდეგისთვის ბრძოლის უცნობი ხერხების გამოყენებით და სხვა.

საჰაერო თავდაცვის სისტემის **ფარულობა** მიიღწევა სამხედრო საიდუმლოებების დაცვით, ძალების და საშუალებების ფარული გადაადგილებით და განლაგებით, ადგილმდებარეობის დაცვითი თვისებების გამოყენებით, საინჟინრო ღონისძიებების განხორციელებით, რადიო, რადიო-სატელეფონო, რადიოლოკაციური, რადიო-ტექნიკუ-



რი, შუქური, სითბური და ხმოვანი შენიღბვით, ცრუ პოზიციების და ობიექტების მოწყობით, მობილური ქვედანაყოფების გამოყენებით.

საჭაერო თავდაცვის სისტემის მდგრადობა ნიშნავს ძალების და საშუალებების უნარს, აწარმოონ საბრძოლო მოქმედებები რთულ ვითარებაში, საჭაერო მოწინააღმდეგის და რადიოელექტრონული საშუალებების ზემოქმედების პირობებში.

საჭაერო თავდაცვის სისტემის მდგრადობა მიიღწევა საკუთარი საბრძოლო პოზიციების უშუალო დაფარვით საჭაერო მოწინააღმდეგის დარტყმებისგან, დივერსიული ჯგუფების ზემოქმედებისგან, საცეცხლე პოზიციების დროული შეცვლით, შეიარაღების და ტექნიკის გამართულობით, ადგილმდებარეობის დაცვითი თვისებების გამოყენებით, სათადარიგო და ცრუ პოზიციების მოწყობით, მასობრივი დაზიანების და სხვა ტიპის იარაღისგან თავდაცვითი ღონისძიებების გატარებით.

ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნების მისაღწევად აუცილებელია მეთაურების და შტაბების მიერ საჭაერო თავდაცვის საფუძვლების ღრმა ცოდნა, ომების და კონფლიქტების გამოცდილების შესწავლა, გაანალიზება და გამოყენება.

### **საჭაერო თავდაცვის სახეები**

ომების და კონფლიქტების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ შეიარაღებულ ძალებს საბრძოლო მოქმედებების წარმოება უწევთ საჭაერო თავდაცვის საშუალებების მკვეთრი უკმარისობის პირობებში. ამიტომ მნიშვნელოვანია საჭაერო თავდაცვის ძალების და საშუალებების რაციონალური და ეფექტური გამოყენება.

საჭაერო თავდაცვა შეიძლება იყოს **აქტიური** და **პასიური**. **აქტიური საჭაერო თავდაცვა** ნიშნავს ძალების და საშუალებების მოქმედებებს საჭაერო მოწინააღმდეგის გასანადგურებლად, ან მასზე ისეთი ზემოქმედების მიზნით, რაც უზრუნველყოფს მისი ჩანაფიქრის ჩაშლას ან ეფექტიანობის მინიმუმამდე დაყვანას.

აქტიური საჭაერო თავდაცვის მიზნით გამოიყენება სხვადასხვა დანიშნულების და კლასის საზენიტო სისტემები, ავიაცია, რადიოელექტრონული ზემოქმედების საშუალებები.

**პასიური საჭაერო თავდაცვა** მოიცავს ღონისძიებათა კომპლექსს, რომლებიც მიმართულია საჭაერო მოწინააღმდეგის ზემოქმედების შედეგად მიღებული ზარალის მინიმუმამდე დაყვანისკენ.

ასეთ ღონისძიებებს მიეკუთვნება: შენიღბვა, საინჟინრო მოწყობა, ჯარების გაშლა, მანევრი და სხვა. ტერიტორიული მოწყობის მიხედვით, საჭაერო თავდაცვა შეიძლება იყოს **ზონალური** და **ობიექტური**.

**ზონალური საჭაერო თავდაცვის** ორგანიზება ხდება რაიონების, ზონების ან მიმართულებების დასაცავად, რომელთა შემადგენლობაში ან რომელ მიმართულებაზეც განლაგებულია დასაცავი ობიექტები. **ზონალური თავდაცვის** საჭაერო თავდაცვის ორგანიზება ხდება ერთიანი ჩანაფიქრით და გეგმით.

**ობიექტური საჭაერო თავდაცვა** გამოიყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ცალკეული ობიექტების, სამხედრო-პოლიტიკური, ან სამრეწველო-ეკონომიკური ობი-

ექტების დასაცავად. შესაძლებელია ორივე სახეობის, ზონალურ ობიექტური საჰაერო თავდაცვის, კომბინირებული გამოყენება.

განასხვავებენ საჯარისო საჰაერო თავდაცვას - ჯარების დაჯგუფებების საჰაერო თავდაცვა საჰაერო მოწინააღმდეგის მოქმედებებისგან, მათ მიერ საბრძოლო მოქმედებების წარმოების, მარშის განხორციელების და მუდმივი დისლოკაციის ადგილებში განლაგებისას.

### საჰაერო თავდაცვის ორგანიზების და გამოყენების პრინციპები

ზოგადად, პრინციპი ესაა პოსტულატი, სახელმძღვანელო იდეა, რომელსაც ემყარება რამე თეორია ან ქმედება. სხვადასხვა სახის პრინციპები არსებობს, სამეცნიერო, ნორმატიული, შეფასებითი და სხვა. საჰაერო თავდაცვის თეორიაში, შეიძლება შეგხვდეს როგორც ზოგადი, ასევე საჰაერო თავდაცვის ძალების და საშუალებების მართვის და გამოყენების პრინციპები. განვიხილოთ ძირითადი პრინციპები.

**მუდმივი საბრძოლო მზადყოფნა.** საჰაერო თავდაცვის ძალები და საშუალებები უნდა იმყოფებოდნენ მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში, რათა ნებისმიერ ვითარებაში, დღე-ღამის ნებისმიერ დროს, დაწესებულ ვადებში შეასრულონ დაკისრებული საბრძოლო ამოცანა. ვადები წესდება საბრძოლო მზადყოფნის დონეებიდან გამომდინარე. მშვიდობიან პერიოდში, საჰაერო თავდაცვის საბრძოლო მზადყოფნის დონეები უნდა უზრუნველყოფდეს თავდაცვის ძალების საომარ მდგომარეობაში დროულ გადასვლას და საბრძოლო მოქმედებების ორგანიზებულ დაწყებას. ამ მიზნით, საჰაერო თავდაცვის ძალები და საშუალებები საბრძოლო მორიგეობას ახორციელებენ.

**ძალების და საშუალებების ძალისხმევის მიმართვა მთავარ მიმართულებაზე, ან მთავარი ამოცანის გადასაჭრელად.** ამ პრინციპის მიზანია, საჰაერო თავდაცვის დაჯგუფებას ჰქონდეს უნარი ძალისხმევა მიმართოს საკუთარი ჯარების მოქმედებების მთავარ მიმართულებაზე ან გაანადგუროს საჰაერო მოწინააღმდეგე მისი მოქმედებების მთავარ მიმართულებაზე ისე, რომ დანარჩენ მიმართულებებზე არ შემცირდეს საჰაერო თავდაცვის დაჯგუფების დასახული ეფექტიანობა.

**ძალების და საშუალებების კომპლექსური გამოყენება** ავიაციის და საჰაერო თავდაცვის ძალებში და ჯარების სხვა სახეობებში არსებული ძალების და საშუალებების ერთიანი გეგმით, ერთ სისტემაში გამოყენებას გულისხმობს. ერთი ცხადია, გეგმით გამოყენება არ ნიშნავს აუცილებლად ცენტრალიზებულ მართვას, არამედ - ერთიანი ჩანაფიქრით მოქმედებებს საჰაერო მოწინააღმდეგისთვის მაქსიმალური ზიანის მისაყენებლად.

ჯარების ყველა სახეობაში არსებული ძალების და საშუალებების **მჭიდრო ურთიერთქმედება.** ურთიერთქმედება სამხედრო ხელოვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია და ნიშნავს მიზნების, ამოცანების, დროის, სივრცის და ამოცანების შესრულების ხერხების მიხედვით, ძალების და საშუალებების შეთანხმებულ მოქმედებებს. **საჰაერო თავდაცვის საშუალებების განადგურება, მათ მიერ საბრძოლო ამოცანის შესრულებამდე.** მნიშვნელოვანია საჰაერო დაჯგუფების ისე შექმნა, საბრძოლო პოზიციების ისე შერჩევა, რომ საზენიტო კომპლექსების დაზიანების ზონა წვდებოდეს საჰაერო



რო მოწინააღმდეგის მიერ საბრძოლო ამოცანის შესრულების ზღუდეს, ან წვდებოდეს უფრო შორს. ეს პრობლემური დილემა განსაკუთრებით ობიექტური საჰაერო თავდაცვის, ობიექტის, მაგალითად ქალაქის საჰაერო თავდაცვის დროს. რაც მეტად შორს ხდება საზენიტო კომპლექსის დაზიანების ზონის გატანა, მით მეტი კომპლექსი იქნება საჭირო. კომპლექსების რაოდენობის შემცირება კი იწვევს ობიექტის ირგვლივ დაზიანების ზონის შემცირებას. დაწვრილებით ეს საკითხი საბრძოლო წყობის თემაში განიხილება.

მნიშვნელოვანი პრინციპია, ვითარებიდან გამომდინარე, **ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული მართვის კომპლექსური გამოყენება**. საჰაერო თავდაცვაში ცენტრალიზებული მართვა ძირითადი მეთოდია. თუმცა, სხვადასხვა ვითარებაში გამოიყენება დეცენტრალიზებული მართვა. განსაკუთრებით ეხება დაბალ სიმაღლეებზე მოქმედი საჰაერო მიზნების წინააღმდეგ ბრძოლას. დეცენტრალიზებული მართვის სახეობებია ჩასაფრებიდან მოქმედება, ე.წ. მოხეტიალე ქვედანაყოფები და სხვა. ყველა შემთხვევაში, საბრძოლო ამოცანის შესრულებისას, ბრძოლის ხერხებს მეთაური ირჩევს დამოუკიდებლად, კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე.

ომების და კონფლიქტების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ **რეზერვის წინასწარი შექმნა და ეშელონირება, საბრძოლო მოქმედებების ყოველმხრივი უზრუნველყოფა**, წარმატების აუცილებელი პირობაა, განსაკუთრებით ხანგრძლივი საბრძოლო მოქმედებების წარმოებისას. მნიშვნელოვანია რეზერვების მულტივი შევსება საომარი მოქმედებების დროს.

### **საჰაერო თავდაცვის ორგანიზება**

საქართველოს რელიეფიდან და სხვა პირობებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია საჰაერო თავდაცვის ტერიტორიული პრინციპით ორგანიზება. ქვეყნის ტერიტორია უნდა დაიყოს ორ ან მეტ საჰაერო თავდაცვის სექტორად.

საჰაერო თავდაცვის სექტორი წარმოადგენს საჰაერო თავდაცვის ძალების და საშუალებების ერთიანი მართვის სისტემით, საჰაერო თავდაცვის ტაქტიკური ამოცანების გადასაწყვეტად ტერიტორიულ გაერთიანებას.

სექტორის ბაზისს წარმოადგენს სექტორის ტერიტორიაზე განლაგებული ჯარების სხვადასხვა სახეობების საჰაერო თავდაცვის ძალები და საშუალებები. ვითარებიდან გამომდინარე, სარდლის გადაწყვეტილებით, სექტორს შეიძლება მიეკუთვნოს საჰაერო თავდაცვის დამატებით ქვედანაყოფები.

საჰაერო თავდაცვის სექტორის მეთაურად, სარდლის გადაწყვეტილებით, ინიშნება სექტორის საზღვრებში განლაგებული ქვედანაყოფების ერთ-ერთი მეთაური, როგორც წესი, ავიაციის და საჰაერო თავდაცვის ძალების შემადგენლობიდან. საქართველოს დაყოფა საჰაერო თავდაცვის სექტორებად, სექტორში საჰაერო თავდაცვის ორგანიზების საკითხები, ცალკე სტატიის თემაა.

საჰაერო თავდაცვის ორგანიზება გრძელვადიან, სისტემურ და სიღრმისეულ მიდგომას მოითხოვს.

### საჰაერო თავდაცვის ორგანიზება მოიცავს:

- საჰაერო თავდაცვის დაგეგმვას;
- საჰაერო თავდაცვის სისტემის შექმნას;
- საბრძოლო მოქმედებების მომზადებას;
- საბრძოლო მორიგეობის მომზადებას და ჯარების გადაყვანას საბრძოლო მზადყოფნის მაღალ დონეებზე;
- საბრძოლო მოქმედებების რაიონის/ქვეყნის ტერიტორიის მოწყობას.

განვიხილოთ ყოველი ეტაპი. საჰაერო თავდაცვის დაგეგმვა ხორციელდება თავდაცვის ძალების დირექტივების შესაბამისად, ავიაციის და საჰაერო თავდაცვის ძალების სარდლის უშუალო ხელმძღვანელობით, დაგეგმვის ჯგუფთან ერთად. დაგეგმვის ჯგუფში, სარდლობის შტაბთან ერთად, შეიძლება შედიოდეს ჯარების სხვა სახეობების საჰაერო თავდაცვის ქვედანაყოფების წარმომადგენლები. საჰაერო თავდაცვის დაგეგმვის შედეგად მიიღება ოპერატიული და ტაქტიკური საბრძოლო საბუთების კომპლექსი.

საჰაერო თავდაცვის სისტემის შექმნა იწყება საჰაერო თავდაცვის გეგმის შესაბამისად და წარმოადგენს ერთიან სისტემაში გაშლილ საჰაერო თავდაცვის ძალებს და საშუალებებს. საჰაერო თავდაცვის სისტემა შედგება მართვის, დაზვერვის, საზენიტო ცეცხლის, საავიაციო დაფარვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რადიო-ელექტრონული ბრძოლის, ლოგისტიკის და მომზადების ქვესისტემებისგან.

დასახული საბრძოლო ამოცანის წარმატებით შესასრულებლად, მნიშვნელოვანია საბრძოლო მოქმედებების ყოველმხრივი მომზადება. საბრძოლო მოქმედებების მომზადება იყოფა წინასწარ და უშუალო მომზადებად. წინასწარი მომზადება იწყება მშვიდობიან პერიოდში და ხორციელდება უწყვეტად, საჰაერო თავდაცვის ძალების და საშუალებების საბრძოლო მზადყოფნის მაღალ დონეებზე გადაყვანამდე. საბრძოლო მოქმედებების უშუალო მომზადება იწყება საბრძოლო მზადყოფნის მაღალ დონეებზე გადაყვანიდან და გრძელდება უწყვეტად საჰაერო მოწინააღმდეგის თავდასხმამდე.

საბრძოლო მორიგეობა ესაა საჰაერო თავდაცვის სპეციალურად გამოყოფილი ძალების და საშუალებების ყოფნა სრულ საბრძოლო მზადყოფნაში, მოულოდნელად წამოჭრილი ამოცანების გადასაჭრელად. საბრძოლო მორიგეობა წარმოადგენს საბრძოლო ამოცანის შესრულებას, სპეციალურად გამოყოფილი ძალებით და საშუალებებით, სახელმწიფოს საჰაერო სივრცეში სახელმწიფო საზღვრის დაცვის მიზნით.

საბრძოლო მოქმედებების რაიონის/ქვეყნის ტერიტორიის მოწყობა ითვალისწინებს შემდეგ ღონისძიებებს:

- ავიაციის და საჰაერო თავდაცვის ძალების ნაწილების და ქვედანაყოფების პოზიციების და აეროდრომების მშენებლობას და მათ საინჟინრო მოწყობას;
- პოზიციების და აეროდრომების უზრუნველყოფა სტაციონარული და მობილური ელექტრო ენერჯის წყაროების, კავშირგაბმულობის საშუალებებით;
- მართვის ავტომატიზირებული სისტემების დანერგვა;

- შენიღბვის ღონისძიებების განხორციელება;
- გზების, ბაზების, საცავების, თავშესაფრების და სხვა ნაგებობების მშენებლობა და რემონტი.

### პასუხისმგებლობა საჰაერო თავდაცვაზე

საჰაერო თავდაცვაზე ერთიანი პასუხისმგებლობის პრინციპიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია როგორც ქვეყნის მასშტაბით, ისე საჰაერო თავდაცვის სექტორებში, განისაზღვროს პასუხისმგებელი პირი საჰაერო თავდაცვის ორგანიზებაზე.

ხშირად, ერთიანი პასუხისმგებლობა ერევათ ცენტრალიზებულ მართვაში. საბრძოლო მოქმედებების დროს, ვითარებიდან გამომდინარე, შესაძლებელია როგორც ცენტრალიზებული, ისე დეცენტრალიზებული მართვის მეთოდების გამოყენება. მაგრამ, საჰაერო თავდაცვის განვითარება და ორგანიზება, საბრძოლო მოქმედებების მომზადება და წარმოება, ყოველთვის მოითხოვს ერთიან პასუხისმგებლობას, რაც უზრუნველყოფს რესურსების რაციონალურ მართვას და საჰაერო თავდაცვის ეფექტიანობას.

შემდგომ პუბლიკაციებში უფრო დეტალურად განვიხილავთ სტატიაში აღწერილ საკითხებს.

### დასკვნა

შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საჰაერო თავდაცვის ჯარები თავდაცვის ძალების ერთ-ერთი რთული გვარეობაა, როგორც შეიარაღების და ტექნიკის განვითარების, ისე ბრძოლების წარმოების და მაღალი ტექნოლოგიების გამოყენების მხრივ. საჭიროა საჰაერო თავდაცვის, როგორც სამხედრო თეორიის მნიშვნელოვანი ნაწილის, სიღრმისეული და სისტემური შესწავლა.

ამასთან, შეიარაღების და ტექნიკის განვითარება, თანამედროვე ომებში ახალი ტექნიკის გამოჩენა, ცვლის საჰაერო თავდაცვის ტაქტიკას, რაც საჭიროებს შესწავლას, კვლევებს და წესდებების ადაპტირებას.

საჰაერო თავდაცვის თეორია, ომების ხასიათის ცვლილებასთან ერთად, ასევე განიცდის ცვლილებებს და პირიქით, ახალი მიდგომების მიგნება, ცვლის ომების ხასიათს.

### ბიბლიოგრაფია

ტოტალური (ყოვლისმომცველი) თავდაცვა, როგორც საქართველოს თავდაცვის და უსაფრთხოების განმსაზღვრელი ფაქტორი, საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, 2024;

აშშ-ის საჰაერო ძალების დოქტრინა,

[https://www.doctrine.af.mil/Portals/61/documents/AFDP\\_3-01/3-01-AFDP-COUNTERAIR.pdf](https://www.doctrine.af.mil/Portals/61/documents/AFDP_3-01/3-01-AFDP-COUNTERAIR.pdf), გადამოწმების თარიღი 22.10.2024;

აშშ-ის საჰაერო ძალების დოქტრინა. საჰაერო თავდაცვის ოპერაციები,

[https://irp.fas.org/doddir/army/fm3\\_01.pdf](https://irp.fas.org/doddir/army/fm3_01.pdf), გადამოწმების თარიღი 12.10.2024;

ფ.კ. ნეუპოკოევი. “ჰაერსაწინააღმდეგო ბრძოლა“;  
საქართველოს საჰაერო თავდაცვის კონცეფცია,  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/33298?publication=33>, გადამოწმების  
თარიღი 27.10.2024;  
პირადი სალექციო ჩანაწერები.